ვანო ხუციშვილის ჩიხი №2

(წინასწარული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორია ისტორიული თბილისის გარეუბანში სეიდაბადში, თაბორის ფერდის შუა ტერასაზე მდებარეობს. შუა საუკუნეების მანძილზე ამ უბანს კალას გალავნიდან წავკისის წყლის ღრმა ხევი ჰყოფდა და სახელი ტფილისი საკუთრივ მას ეწოდებოდა აქ არსებული ცხელი გოგირდიანი წყლების გამო. სეიდაბადი მას შეერქვა XVII ს-ში – როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსი ტომების – სეიდების გამო, რომელთა უმეტესობა ხელოსნობასა და წვრილ ვაჭრობას მისდევდა. აქ დღესაც ცხოვრობს თბილისში თაობებით დამკვიდრებული მუსლიმი მოსახლეობა.



ხარფუხი. XIX საუკუნის მიწურული.

XIX ს-დან ეს უბანი ხარფუხად მოიხსენიება. ადგილის სახელის ეს ცვლაც ისტორიის გავლენაა. ხარფუხი თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა.

ამ უბნის ურბანული სახის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ ფაქტორს იმთავითვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქუჩათა ქსელის ფორმირებას სოლოლაკის ქედის გამყოფი ხეობის და თაბორის მთის რთული რელიეფი განაპირობებდა.

უნბის განვითარების მოკლე ისტორია

საუკუნეების მანძილზე ხარფუხის ტერტორია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა - სოფლური ტიპის დასახლებები აქ ადრევე ჩაისახა – XII – XIII საუკუნეებში. მოგვიანებით კი, ქალაქის გაფართოვებასთან ერთად, დასახლება უფრო ინტენსიური გახდა - მას ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლამდე და "განჯის კარამდე" მოუღწევია.

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისის აღწერისას წერს: "ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლისა იყო მცირე სოფლებად დაყოფილი: ... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ, ტფილს წყლებს ახლო და იმ სოფელს ტფილისი რქმევია... ". XVII ს-ში ტფილისი უკვე ქალაქის გარეუბანია. ამ დროიდან დაიწყო მისი ხელახალი დასახლება - შაჰ-აბას I-ის შვილიშვილის შაჰ-სეფის (1629 - 1642) დროს მეფე როსტომმა (1632 - 1658) აქ სპარსი სეიდების ტომი ჩამოასახლა. აქედან მოდის უბნის მოგვიანო სახელი - "სეიდაბადი" – სეიდების უბანი. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი წერს: "... და დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს. ... არიან მსახლობელნი ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი."

სეიდაბადს ქალაქის სამხრეთ მისადგომებთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეჭირა. სეიდაბადი იცავდა თბილისზე და თაბორის ციხეზე მისასვლელ გზებს. ქალაქის ზღუდეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 2 კარი ჰქონდა – "განჯისა" და "აბანოსი", სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით უკავშირდებოდა სეიდაბადი ქალაქს.



ვახუშტი ბატონიშვილისეულ ***1735 წლის თბილისის გეგმაზე*** სეიდაბადი შემდეგნაირად არის მოსაზღვრული: ჩრდილოეთიდან – ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან – მდინარე მტკვრით, სამხრეთიდან – ქალაქის სამხრეთით

მდებარე ძველი ზღუდით, ე.წ. განჯის კარით და დასავლეთიდან - თაბორის მთით.

ექსპლიკაციაში, რომელიც ამ გეგმას ერთვის *სეიდაბადი* ორჯერ არის აღნიშნული - № 47-ით "ტფილისის ბაღი სეიდაბადის", რომელიც გაშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, მეორე აღნიშნულია ასო "ი"-თი – "სეიდაბადი ანუ ტფილისი". მასზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი "უჯრედები" აქ მჭიდრო დასახლებაზე მიანიშნებს. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაზე გრიშაშვილის ქუჩის წინაპარი ქუჩა უკვე გაკვალულია. განჯის, შემდგომში სურბ-სარქისის (დღევანდელი გრიშაშვილის) ქუჩა – უბნის მთავარი არტერია იყო. აქვე გადიოდა საქარავნო გზა, რომელიც ძველი განჯის გზის ნაწილს წარმოადგენდა.



1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად თბილისი და თაბორის ციხე მთლიანად განადგურდა. ***1800 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე*** მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან დანარჩენი, სეიდაბადი ამ პერიოდში დასახლებული აღარ არის და ბაღებით არის დაფარული (სეიდაბადის ბაღები 62-ით აღნიშნული). სეიდაბადს და აბანოთუბანს ქალაქთან ერთად-ერთი გზა - განჯის გზა (აღნიშნულია №104-ით; დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩა) აკავშირებდა, რომელიც განჯის კარის და (№53) აბანოს, ანუ სეიდაბადის (№54) კარის გავით შემოდიოდა ქალაქში.

ხარფუხი XIX ს-ში სოფლად იხსენიება. მთავარმართებლის - გენერალ ერმოლოვის დროს (1816 - 1827), კერძოდ 1819 წელს, ციხის ქვედა გალავნის მოშლის შემდეგ, ხარფუხი ქალაქის ადმინისტრაციული ნაწილი გახდა და მის მიმართაც გავრცელდა მშენებლობების წინასწარ შედგენილი გეგმით დარეგულირების მოთხოვნა. თუმცა მომდევნო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შედგენილ თბილისის რუკებზე (1843 - 1859) ხარფუხი კვლავ

სოფლად მოიხსენიება და ზოგჯერ ძველი სახელით სეიდაბადით იხსენიება (1828 წ.).

სოფლური ტიპის დასახლება მხოლოდ თანდათან იძენს ქალაქურთან მიახლოებულ ხასიათს. ჩნდება მოზრდილი ქალაქური ტიპის შენობები – იცვლება არქიტექტურულ-მხატვრული ასპექტები და მშენებლობის მასშტაბი. 1850 წელს მოეწყო ვორონცოვის (დღევანდელი გორგასლის) ქუჩა, რომელიც ძველ ქალაქს აკავშირებდა ხარფუხსა და ორთაჭალასთან.



1902 წლის თბილისის რუკა

XX საუკუნის დასაწყისში ხარფუხი უკვე თბილისის განუყოფელი ნაწილია და მისი ურბანული განვითარება ქალაქის ზოგად განვითარებას მისდევს. ამ პერიოდისაა დღევანდელი გორგასლის, გრიშაშვილის და მისი მიმდებარე ქუჩების რუსულ-ევროპული კლასიციზმის გავლენით, თბილისურ ტრადიციაზე გადამუშავებული, ორ და სამ სართულიანი განაშენიანება. მიუხედავად ამისა ქალაქის ეს ნაწილი დღემდე ინარჩუნებს გვიანფეოდალური პერიოდის განაშენიანების ნიშნებს და სტრუქტურას. ***XX საუკუნის დასაწყისის თბილისის რუკების*** მიხედვით ხარფუხის ტერიტორიაზე განვითარებული ქუჩათა ქსელი მნიშვნელოვნად აღარ შეცვლილა - მიკროუბნის სპეციპიკა ჯერ-ჯერობით შენარჩუნებულია ძველი ურბანული ქსოვილის, ბუნებრივი რელიეფისა და რამდენიმე ისტორიული შენობის ორგანული თანაარსებობის წყალობით.

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება ამ უბანში 1930-იან წლებში და XX საუკუნისის შუა ხანებში განხორციელდა. მტკვრის სანაპიროს კეთილმოწყობას ურბანული "ერთეულების" გამსხვილებაც მოჰყვა - გორგასლის ქუჩაზე 1937 წ. ბალნეოლოგიური კურორტის მოზრდილი შენობა აიგო (არქ. მ. კალაშნიკოვი, ი. ჟიტკოვსკი). მიუხედავად იმისა, რომ შენობა ხელს არ უშლის ძველი ქალაქის პანორამის აღქმას, მან უბნის ძველი მასშტაბი მაინც

საგრძნობლად შეცვალა. XX ს-ის მეორე ნახევარიდან სხვა მსხვილგაბარიტიანი შენობებიც გაჩნდა: გრიშაშვილის №54 - ძველ ორსართულიან აგურის შენობას, სადაც საბჭოთა პერიოდში სკოლა განთავსდა, მესამე სართული დააშენეს, იაკობ ცურტაველის №29 - ოთხსართულიანი, კუბური მოცულობა, და ა.შ.

განსაკუთრებულად უხეში, გაუაზრებელი „ჩარევები“ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან იწყება. ხუციშვილის ქ. №2 – ხუთსართულიანი სახლი, რომელიც 2000-იან წლებში აშენდა, ტლანქი არქიტექტურული მასებით იქცევს ყურადღებას. მან მნიშვნელოვნად შეცვალა მიკრო-უბნის განაშენიანების მასშტაბი. თუ ასე გაგრძელდა, მომრავლებული ახალი მშენებლობი, რომელთა პროექტის ავტორებიც ხშირ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ ურბანული გარემოს ბუნებრივ მახასიათებლებს, არქიტექტურასა და რელიეფს შორის ტრადიციულად ჩამოყალიბებული კავშირის საბოლოო მოშლას გამოიწვევს.

საპროექტო ტერიტორია

ხუციშვილის (ყოფილ სეიდაბადის) ქუჩის ზემოთ, თაბორის მთის ფერდის მიმართულებით, ვიწრო ქუჩებისა და ჩიხების რთული ქსელი ვითარდება – მიკროუბნის განაშენიანების მხატვრულ სახეს დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა რთულ მთიან რელიეფზე გაშენებული, ერთმანეთზე ახუნძლული ბანიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მოგვიანებით თბილისური ტიპის ხის აივნებიანმა და შუშაბანდებიანმა, ორ-სამსართულიანმა სახლებმა შეცვალა: ხუციშვილის ჩიხი (ყოფილი სეიდაბადის ჩიხი), შავნაბადას, თელეთის შესახვევები და სხვა ვიწრო, ქაოტური აღმართები განაშენებულია ერთ და ორ სართულიანი ხის აივნებიანი და შუშაბანდებიანი ძველი სახლებით, რომელთა უმეტესობა სახეცვლილია გვიანდროინდელი მიშენებებისა და გადაკეთებების შედეგად.

ბოლო წლებში საკმაოდ მომრავლდა ახალი, შედერებით მოზრდილი, უმეტესად სამსართულიანი შენობები – თითქმის არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს ისტორიული გარემოს არქიტექტურულ მახასიათებლებს - გაუაზრებელმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეცვალა, როგორც ბუბენრივად ჩამოყალიბებული

ურბანული სტრუქტურა, ისე არსებული განაშენიანების მასშტაბი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გვიანი შუასაუკუნეების დაგეგმარების ნიშნები აქ დღემდე იჩენს თავს.



ხარფუხი. XIX საუკუნის მიწურული.

საარქივო ფოტოებზე ნათლად იკითხება ამ უნბის განაშენიანების ერთიანი კონტექსტი - ლანდშაფტურ გარემოსთან შეთანხმებული და ერთიან არქიტექტურულ მასშტაბს დაქვემდებარებული შენობები. თაბორის ფერდი მოფენილი იყო ორ და სამსართულიანი სახლებით, მათ შორის ჩანს შედარებით ძველი ე.წ. ბანიანი სახლებიც.



ხარფუხი. 2011 წლის ფოტოსურათი.

აქ თავმოყრილი შენობები ბუნებრივ რელიეფზეა მორგებული, რაც არსებითად განსაზღვრავდა ძველი თბილისის სახეს. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დღემდე გვხვდება ქართული ტრადიციის გავლენით XIX საუკუნეში შემუშავებული და ჩამოყალიბებული თბილისური საცხოვრებელი სახლის ტიპები, რომელიშიც ადგილობრივი ტრადიციები ორგანულად ერწყმის კლასიციზმის ელემენტს – იაკობ ცურტაველის ქ. №11, გიორგი მერჩულეს ქ. №6.



გიორგი მერჩულეს ქ. №6



იაკობ ცურტაველის ქ.

ირგვლივ არსებული სხვა ძველი შენობები სახეცვლილი და გადაკეთებულია - უმრავლესობას მიშენებული აქვს ძველთან შეუსაბამო მოცულობები, რაც იწვევს შენობათა გარეგნული სახის დამახინჯებას და ისედაც ამორტიზირებული ნაგებობების შემდგომ დაზიანებას.

საპროექტო ტერიტორიის და მისი მიმდებარე განაშენიანების ერთმანეთში გადახლართული ეზოები ტერასულად ლაგდება – მათ კონფიგურაციას, ერთი მხრივ, რელიეფის თავისებურება განსაზღვრავს, რაც სახასიათო ურბანულ-სივრცით გარემოს ქმნის; მეორე მხრივ, უსისტემო მშენებლობები სივრცითი და გეგმარებითი ქაოტურობის მიზეზიც ხდება – ეს ეხება, როგორც საპროექტო ტერიტორიაზე მდგარ შენობას, ისე მის მეზობელ სახლებს.

ხუციშვილის ჩიხი №2 ორსართულიანი, წაგრძელებული გეგმის მქონე სახლი მომცრო ეზოს სიღრმეში დგას. ამ ადგილას რელიეფის ძლიერი დაქანების გამო

ეზო ტერასისებრ, ხელოვნურ სუბსტრუქციას ქმნის. სავარაუდოა, რომ ამ ადგილას ადრე ბანიანი სახლი იდგა.



ხუციშვილის ჩიხი №2



ჩანს, რომ შენობა აქ ძველად არსებული სახლის საფუძველზე აშენდა. დღეს ის ძლიერ ამორტიზირებულია და მას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნიშნები დაკარგული აქვს, თუმცა უნდა აღინიშნოს ძველი აგურისა და ფლეთილი ქვის ბლოკებით შედგენილი ტორსოს კედლების ოსტატური წყობა, სართულშუა გადახურვების კარგად დამუშავებული მასიური ხის ძელები, მსხვილკოჭოვანი გადახურვა, "ორიარუსიანი" მომცრო ფრამუგებით შემინული შუშაბანდი, რომლის კონსტრუქციულ საფუძველს წარმოადგენს ხის სვეტების ორდერი.



ხუციშვილის ჩიხი №2-ის მიმდებარე სახლი.

საპროექტო ტერიტორიის გვერდით, ქუჩის განაშენიანების სიღრმეში დგას ორსართულიანი შენობა ხის აივნებით, ორქანობა გადახურვითა და ღრმა სარდაფით, ძლიერი დაზიანებისა და სახეცვლის მიუხედავად შენობა ინარჩუნებს თავდაპირველ არქიტექტურულ კომპოზიციასა და მასშტაბს.

ქუჩა-კიბით და ვიწრო გასასვლელებით ერთმანეთთან დაკავშირებული ტერასები დღესაც განსაზღვრავს უბნის სპეციფიკას, რასაც პლასტიკურობის ძლიერი ელემენტი შემოაქვს უნბის განაშენიანებაში.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიას მომცრო (118 კვ/მ) ნაკვეთი უჭირავს თაბორის ფერდის განაშენიანებაში, სადაც ერთიმეორის მიჯრით და ტერასულად განლაგებული განაშენიანების მთავარ ღირსებას ფერდს შეფენილი სტრუქტურა წარმოადგენს.



ხედი მეტეხის პლატოდან.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ხუციშვილის ჩიხი №2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი.

- შენობის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი დენონტაჟი დასაშვებია, თუნცა შემდგომი პროექტირებისას გასათვალისწინებელია რელიეფის თავისებურება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეს ტერიტორია კარგად აღიქმება მოპირდაპირე სანაპიროდან და მეტეხის პლატოდან, რაც ზრდის მის ურბანულ ღირებულებას.
- ასევე, გასათვალისწინებელია ნაკვეთის რთული კონფიგურაცია და სახასიათო მდებარეობა, არსებული განაშენიანების სივრცით-არქიტექტურული და სტრუქტურული თავისებურები.
- მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული გარემო "დეფორმირებულია" - შეცვლილია ტერიტორიის სივრცით-არქიტექტურული და ბუნებრივი დომინანტები, არსებითად შენარჩუნებულია ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელი და მთელი რიგი ღირებული ურბანულ-არქიტექტურული მახასითებლები.
- პროექტირებისას გასათვალისწინებელია განაშენიანების დღემდე შენარჩუნებული ისტორიულ-კულტურული პარამეტრები, ისეთი მთავარი მახასიათებლები, როგორიცაა ლანდშაფტის თავისებურებებით განპირობებული განაშენიანების სივრცითი სტრუქტურა. კვლავაც ანგარიშგასაწევია თავისუფლად განვითარებული ქუჩების ქსელი და სხვა.
- სასურველია პროექტირებისას ანგარიში გაეწიოს განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპოლოგიას, მის ძირითად მახასიათებლებს, რაც ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის გამოყენებასაც გულისხმობს. შეიძლება გამოყენებულ იქნას თბილისის ამ უბნისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტები: ხის აივნები, კიბეთა სისტემა, აგური; არ არის სასურველი მინის დიდი ზედაპირების "ჩართვა" არსებულ გარემოში.
- სასურველია პროექტირებისას გამოყენებულ იქნას აქ დღემდე შენარჩუნებული, თბილისური ეზოების სივრცით-კომპოზიციური და მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებები.
- სასურველია შენარჩუნდეს ხუციშვილის ჩიხის ქვაფენილიანი ქუჩა და კეთილმოეწყოს.

- სასურველია შეიქმნას სივრცის ორგანიზების ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად შერბილებს ზღვარს ლანდშაფტსა და არქიტექტურულ გარემოს, ეზოსა და ქუჩას შორის და გამოძებნის ორგანულ კავშირს გარემოსთან.
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობები საპროექტო რეტიტორიას არ ესაზღვრება. ანგარიშგასაწევია გიორგი მერჩულის ქ. №6 სახლის მასშტაბი, რომელიც ჩართულია საპროეტო ტერიტორიის ვიზუალურ არეალში.
- მშენებლობისას გასათვალისწინებელია ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში, საინჟინრო-ტექნიკური სისტემის და წინ გამავალი გზის კეთილმოწყობა.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1961.
2. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის გეგმის მიხედვით, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947,
3. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965,
4. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977,
5. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 1958.
6. ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, 1971.
7. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, 2006-2007.
8. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1982.